ზოგ-ზოგი კაცი

ზოგ-ზოგი კაცია მეტად უღონო -
ღონიერ კაცისა ძალს დაიწუნებს...
ჯიბეში არა აქვს ჟანგიანი დანა,
ხორასნის ჯავარდენ ხმალს დაიწუნებს!

ზოგ-ზოგსა კაცსა არა აქვს ბინა -
ისე დააღამებს, არ შევა შინა...
ინდის-ხურმა მუხის რკო ჰგონია,
ბაღში შევა, მწიფე ბალს დაიწუნებ1

ზოგი კაცი ზღვაში შევა ნავათა,
ბაყაყს გვერდით დაინახავს შავათა,
ზოგი კაციც გარეთ გდია ავათა,
სახლში შევა, როსტომ-ზალს დაიწუნებს.
მეცხვარეს რად უნდა ალმასი ძველი,
ოღონდ პინით ჰქონდეს ახალი ყველი!
სასთუმლად ქვა ედვას, სარტყლად - საბელი..
ბეგთაბეგის ქირმან-შალს დაიწუნებს.

ღორი ხეზედ როგორ უნდა ავიდეს?
ავი კაცი ამ ქვეყნიდან გავიდეს,
საიათნოვა მეჯლისებში შავიდეს:
ლხინი უყვარს, ყალმაყალს დაიწუნებს.